შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოველთვის ალლაჰს ახსენებდა (ზიქრს აკეთებდა)

გადმოცემულია აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოველთვის ალლაჰს ახსენებდა (ზიქრს აკეთებდა).
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მორწმუნეთა დედა აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გვამცნობს, რომ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ძალიან გულმოდგინე იყო უზენაესი ალლაჰის ხსენებაში, ის უზენაეს ალლაჰს ახსენებდა ყოველ წამს, ყველგან და ყველა მდგომარეობაში.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/8402